

მედიატორთა სასერთიფიკაციო პროგრამა

1 ▶

მედიატორის ტრენინგი

- მედიაციის თეორიული და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული ტრენინგის გავლა
- სულ მცირე 60 საათიანი მოდული
- ჯგუფი: მაქს. 25 მონაწილე
- ყოველ 8 მსმენელზე - 1 ტრენერი
- ტრენერი - პირი ასოციაციის ტრენერთა სიიდან

2 ▶

პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში შემოწმება

- მომავალი მედიატორის უნარ-ჩვევების შემოწმება სიმულაციურ მედიაციაში
- წელიწადში ორჯერ: საგაზაფხულო და საშემოდგომო ნაკადი
- 1 ნაკადი - მაქს. 200 მონაწილე
- შეფასებას ახორციელებენ ყოველი ნაკადისთვის საბჭოს გადამწყვეტილებით დამტკიცებული შემფასებლები წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით

3

რეალური მედიაციის გაძღოლის უნარ-ჩვევების შეფასება, განვითარების ხელშეწყობა

- რეალური მედიაციის გაძღოლის უნარ-ჩვევების შეფასება/განვითარების ეტაპი განხორციელდება სასამართლო მედიაციის ცენტრებთან თანამშრომლობით
- ეტაპის ზუსტი პირობები და წესი გაინერება დანართით

ტრენინგს ჩაატარებენ კერძო პირები ან ორგანიზაციები, რომლებიც მოიპოვებენ **პროგრამულ ან ინსტიტუციურ აკრედიტაციას** და საჭიროების შემთხვევაში - ასოციაციაც.

პროგრამული აკრედიტაცია

კურსის ერთჯერადი აკრედიტაცია

- საფასური: 2000 ლარი
- 2021 წლის თებერვლიდან

ინსტიტუციური აკრედიტაცია

კალენდარული წლის განმავლობაში კურსის შეუზღუდავი რაოდენობით ჩატარების უფლება

- საფასური: 5000 ლარი
- 2022 წლის იანვრიდან

ტრენინგის ღირებულებას დაადგენს ტრენინგის განმახორციელებელი

ტრენინგის გავლის სერთიფიკატი

პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში შემოწმების გავლის სერთიფიკატი

დადაბითი რეკომენდაცია

მედიატორის სერთიფიკატი

მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის მოკლე აღწერა

მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამა წარმოადგენს „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მედიატორის პროფესიაში შესვლის სავალდებულო კომპონენტს, რომელიც უზრუნველყოფს მომავალ მედიატორს თეორიული ცოდნითა და სამედიაციო უნარ-ჩვევებით აღჭურვას და ხელს უწყობს პროფესიაში მის წარმატებულ ინტეგრაციას.

მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამა შედგება სამი ნაწილისგან:

- **მედიაციის / მედიატორის ტრენინგი;**
- **მედიატორობის მსურველი პირის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში შემოწმება;**
- **მედიატორობის მსურველი პირის მიერ რეალური მედიაციის გაძღოლის უნარ-ჩვევების განვითარება;**

მედიატორის ტრენინგის კურსი ორიენტირებულია მედიატორისთვის საჭირო თეორიული ცოდნის მიწოდებაზე და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე. სწავლების კურსი შედგება სულ მცირე 60-საათიანი სასწავლო პროგრამისაგან, რომელსაც შეიმუშავენ და ამტკიცებს სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“. ხოლო ტრენინგს ახორციელებს, მათ შორის, ნებისმიერი დაინტერესებული კერძო პირი სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თანხმობით, აკრედიტაციის საფუძველზე და მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის დებულებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“ მხარს უჭერს მედიატორის ტრენინგის ორგანიზებას და განხორციელებას სხვადასხვა კერძო დაწესებულების მხრიდან, რომელთაც აქვთ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება და აკმაყოფილებენ წინარე პროგრამის მოთხოვნებს.

მედიატორობის მსურველი პირის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში შემოწმება ორიენტირებულია მომავალი მედიატორის მიერ მედიატორის ტრენინგით გათვალისწინებული უნარ-ჩვევების შემოწმებაზე სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ მიერ მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის დებულებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

მედიატორობის მსურველი პირის რეალური მედიაციის გაძღოლის უნარ-ჩვევების განვითარების ნაწილი მიმართულია მომავალი მედიატორის მიერ მედიატორის ტრენინგით გათვალისწინებული პროგრამით და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში შემოწმების ნაწილით გათვალისწინებული ცოდნის რეალურ სამედიაციო წარმოებაში ხილვაზე, შემეცნებაზე და დახვეწაზე.

მედიატორობის მსურველი პირის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში შემოწმება, როგორც წესი, ხორციელდება ყოველწლიურად ორ ნაკადად: პირველი ნაკადა იწყება აპრილში (საგაზაფხულო ნაკადა), ხოლო მეორე ნაკადა - ოქტომბერში (საშემოდგომო ნაკადა). პროგრამაზე მიღება ხორციელდება წინასწარი რეგისტრაციის საფუძველზე, რომელიც ცხადდება იანვარში - საგაზაფხულო ნაკადისთვის და სექტემბერში - საშემოდგომო ნაკადისთვის.

მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის დებულების გარდამავალი მუხლები ითვალისწინებს საერთო წესისგან განსხვავებულ წესს, რომელიც გავრცელდება 2021 წლის იანვრის ჩათვლით განწვერიანების მიზნით სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციისადმი“ მომმართველ პირებზე.

მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის განხორციელების წესი რეგულირდება ასოციაციის საერთო კრების მიერ დამტკიცებული დებულების თანახმად.